



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
BODY



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N6

ქ. მარნეული

07.03.2016 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ბიუროს წევრები: - ნაბი აბდულაევი, ვალერი მეტრეველი, ამირან გიორგაძე, კოტე ბოჭოიძე, ნიკოლოზ გოგოჭური, რიჩარდ გიგანი, ირაკლი ბურნაძე, გიორგი შუკაკიძე, ქამილ ალიევი, ლერი მუმლაძე, აბიდ ოსმანოვი, ვალი ისმაილოვი, რამიზ გულმამედოვი.

არ ესწრებოდა: - ვანო ბურნაძე, რაფიკ მუსაევი.

სხდომას ესწრებოდა: - მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ თოფჩიშვილი, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე ზაურ ტაბატაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
2. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 4 მარტის N03/1349 წერილის განხილვის შესახებ.

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედომმა ბიუროს წევრებს გააცნო „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N44 დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი, რაც გამოწვეულია იმით, რომ შ.პ.ს. საფეხბურთო კლუბი „ალგეთი“-სათვის 2016 წელს ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 თებერვლის N107 დადგენილების საფუძველზე უნდა გადაირიცხოს ა.ა.ი.პ. „ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი“-ს ანგარიშზე, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა ბიუროს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტში შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით გააცნო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ შ.პ.ს. საფეხბურთო კლუბი „ალგეთი“-ს ანგარიშზე არსებული თანხა 292081 ლარი უნდა გადაირიცხოს ა.ა.ი.პ. „ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი“-ს ანგარიშზე, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2016 წლის მეექვსე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაზი აბდულაევი